სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N01-38/23
CPV50112300

ქ. ბათუმი 15 თებერვალი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ერთის მხრივ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, უფროსის თემურ ყურშუბაძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „ფლეშ"-ი დირექტორი ლევან შალამბერიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების სტანდარტული რეცხვა-დასუფთავება, ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.

1.3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები: მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტალონების მოწოდება ერთჯერადად ან ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნისამებრ, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში, 2016 წლის ნოემბრის ჩათვლით. ხოლო რეცხვითი მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ავტოსამრეცხაო სადგურზე შემსყიდველის მიერ ტალონის წარდგენისთანავე.

2. მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ დანართი 1 –ის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხის, რაოდენობის, გაწეული მომსახურების მიხედვით.

3.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით,ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლი.

7. ფორს-მაჟორი

7.1.. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

9. შეტყობინება

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხრივ, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია 3(სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. აქედან ერთი ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარესთან - მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

"მიმწოდებელი"	შემსყიდველი
ქ. ბათუმი	სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
შპს „ფლეშ"	მის: ქ.ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. 124
ს.ს. საქართველოს ბანკი	მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ: BAGAGE22	ანგარიშის N 740397499
ანგარიში: GE31BG0000000691637800	მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ს/კ 438728469	ბანკის კოდი TRESGE22
	ს/კ 245631428
შპს „ფლეშ"-ის დირექტორი	სააგენტოს უფროსი
ლევან შალამბერიძე	თემურ ყურშუბაძე

დანართი 1

ფასების ცხრილი

ჩატარებული სამუშაო	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ფასი
სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების რეცხვა- დასუფთავება	7 ლ	100 რეცხვა	700 ლარი
ს უ ლ			700 ლარი

აჭარის სატყეო სააგენტოს
უფროსი

თემურ ყურშუბაძე

შპს „ფლეშ"-ის დირექტორი

ლევან შალამბერიძე